ო ქ მ ი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი

18 ივლისი 2023 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ბექა ხარბედია

3.აკაკი ხურცილავა

4.ბადრი რიჟამაძე

5.ჯანსუღ ჯიშკარიანი

6.მოგელი ხუხია

7.მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

მოწვევით: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

რ. წულაია - შპს „ხობის დასუფთავება განათება"

ზ. ნარსია - შპს „ხობის წყალმომარაგება"

ბიუროს წევრები: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გ. ქაჯაია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ლ. ლიპარტია საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მედეა თათარიშვილი - საკრებულოს იურიდიულ , სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, დოდო გაბუნია - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი: 1.ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის წლიური ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, სადაც ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე და განხორციელებულ პროექტებზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების" მიერ გაწეული სამუშაოები და განხორციელებული პროექტები. მომხსენებელმა ასევე გააცნო შპს „ხობი დასუფთავება და განათება" მიერ გაწეული წლიური ანგარიშის შინაარსი. (იხილეთ დანართები).

კომისიის წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა დასუფთავების სამსახურის საქმიანობას და გარე განათების საკითხებს. რაზედაც გაიცა შესაბამისი ახსნა - განმარტებები.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით ზემოთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შეფასების თაობაზე.

შეფასების შედეგები:

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 0

დადებითი -8

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: ვ. ქანთარია / ვ. ქანთარია/